სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

28 სექტემბერი, 2023 წ

წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება N07-01/50

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8, 76-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის (მიღების დრო - 30.11. 2022წ. დოკუმენტის ნომერი 2219-IXმს-Xმპ, სარეგისტრაციო კოდი N 430020000.05.001.020692), „ბსუ-ს წესდებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 13 დეკემბრის N06-01/143 დადგენილების და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე ინიციატივის ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 28 დეკემბრის N06-01/147 დადგენილების, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის სხდომის N07-02/12 ოქმის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის N07-01/61 გადაწყვეტილების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსადმი ბსუ-ს წერილის (MES 2 23 0000024655 13/01/2023), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენციების (MES 3 23 0000273155, 09/03/2023 წ. და MES 2 23 0000274603, 09/03/2023), ბსუ-ს წესდებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე პროექტზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შენიშვნების განხილვის თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 24 მარტის N07-01/15 გადაწყვეტილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 02 მაისის N07-01/21

<u>და 2023 წლის 14 ივნისის N07-01/25 გადაწყვეტილებების,</u> „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2023 წლის 15 ივნისის №46/ნ ბრძანების,** „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ <u>**ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 04 ივლისის N07-01/31 გადაწყვეტილების,**</u> საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსადმი ბსუ-ს წერილის (MES 9 23 0000971589, 07/08/2023), „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე <u>დამატებითი ინიციატივის</u> ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს **2023 წლის 14 სექტემბრის N06-01/107 დადგენილების,** ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და საბჭოს სხდომის ოქმის (28.09.2023, N07-02/11) საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების პროექტი **(დანართი 1),** თანდართულ განმარტებით ბარათთან ერთად **(დანართი 2) და** წარედგინოს განსახილველად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.
2. **ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი** „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 04 ივლისის N07-01/31 გადაწყვეტილება.**
3. ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნომ უზრუნველყოს წინამდებარე გადაწყვეტილებისა და წერილის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის გაგზავნა.
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს და იურიდიულ დეპარტამენტს.
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი **ჯემალ კარალიძე**

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს **2023 წლის 28 სექტემბრის N07-01/50**

გადაწყვეტილების **N1 დანართი**

პროექტი

საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის
ბრძანება №__
2023 წლის ____
ქ. თბილისი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და ,,საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებაში (სსმ, №168, 28.11.2007) და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესდების:

1. მე-3 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,თ) საქართველოს რამდენიმე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება.";

ბ) პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ი"-,,ო" ქვეპუნქტები:

,,ი) აკადემიური თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების დაცვა;

კ) უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვა, მათ შორის, აკადემიური, ეთნიკური, სოციალური ან რელიგიური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესისა და სხვა ნიშნით;

ლ) გენდერული თანასწორობის მხარდაჭერა;

მ) სტუდენტის და პერსონალის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;

ნ) სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო გარემოს შექმნა, სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთათვის სწავლის პირობების შექმნაზე ზრუნვა, ასევე სხვა ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობს ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნების განხორციელებას.

ო) უმაღლესი განათლების სფეროში სოციალური განზომილების, დემოკრატიის გაძლიერების, ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, ასევე დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტირება, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის.";

გ) მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

2. მე-4 მუხლის ,,ე-ზ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა, საკონსულტაციო და საექსპერტო საქმიანობა, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროცესში შექმნილი პროდუქციის რეალიზება, სამეცნიერო-კვლევითი და ლაბორატორიული საქმიანობის პროცესში შექმნილი პროდუქციის (გამოგონებისა და სასარგებლო მოდელის) წარმოება და რეალიზება;

ვ) კვალიფიკაციის ასამაღლებელი/გადამზადების კურსების/ტრენინგების, მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელება;

ზ) შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან/და წინამდებარე წესდებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობა, თუ შესაბამისი კანონით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.";

3. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 5. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები

1. უნივერსიტეტი შედგება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების – ფაკულტეტების, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების (ინსტიტუტების), ბიბლიოთეკის (ბიბლიოთეკების), დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურით გათვალისწინებული დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან (მართვის ორგანოების სამდივნოები/აპარატები, საქმისწარმოების, სასწავლო პროცესის, სამეცნიერო კვლევების, მატერიალური რესურსების, საფინანსო, იურიდიული, საინფორმაციო ტექნოლოგიების, საზოგადოებასთან ურთიერთობის და სხვა მიმართულებით უნივერსიტეტის ფუნქციონირებისათვის საჭირო სხვა სტრუქტურული ერთეულები).

2. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურა მტკიცდება წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით.

3. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების – ფაკულტეტების და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების (ინსტიტუტების) შექმნის, რეორგანიზაციის ან გაუქმების გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო და ამტკიცებს წარმომადგენლობით საბჭო.

4. უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულების, ბიბლიოთეკის ან უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურაში აღნიშნული დამხმარე სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის წესი განისაზღვრება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად.";

4. მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის ,,უ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,უ) სიითი შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების – ფაკულტეტების და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების (ინსტიტუტების) შექმნის, რეორგანიზაციის ან გაუქმების შესახებ და წარუდგენს დასამტკიცებლად წარმომადგენლობით საბჭოს.“;

5. მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ზ[1]“ ქვეპუნქტი:

,,ზ[1]) ამტკიცებს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებას, უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების – ფაკულტეტების და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების (ინსტიტუტების) შექმნის, რეორგანიზაციის ან გაუქმების თაობაზე;“;

6. მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის:

ა) ,,ბ“ და ,,გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს უნივერსიტეტის მართვას და გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს - ბრძანებას;

გ) გამოსცემს ბრძანებებს რექტორის მოადგილეების, დეკანის მოადგილეების, აკადემიური პერსონალის, აკადემიური საბჭოს სამდივნოს, რექტორის აპარატის, სამეცნიერო პერსონალის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პერსონალის, საგანმანათლებლო პროგრამების და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განმახორციელებელი პერსონალის (მოწვეული მასწავლებლები, პროფესორები, მკვლევარები, სპეციალისტები) და სხვა პერსონალის დანიშვნისა და გათავისუფლების შესახებ, დებს და წყვეტს მათთან შრომით ხელშეკრულებებს, უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკის, შინაგანაწესის და პერსონალის სამსახურში მიღების შესახებ საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად;“;

ბ) ,,ე“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,ვ-ი“ ქვეპუნქტები:

,,ვ) ფაკულტეტის საბჭოს დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე წყვეტს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ სამეცნიერო-შემოქმედებითი შვებულებით სარგებლობის საკითხს, უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესაბამისად;

ზ) ითანხმებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის სამსახურში მიღების და განთავისუფლების გადაწყვეტილებას, ამ სტრუქტურული ერთეულის დებულების შესაბამისად;

თ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით ადგენს და ერთობლივი ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის საშტატო ნუსხას;

ი) წყვეტს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის აუცილებელ სხვა საკითხებს, საქართველოს კანონმდებლობის, წინამდებარე წესდების და საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად, თუ ისინი არ წარმოადგენს უნივერსიტეტის მართვის სხვა ორგანოს, სხვა სტრუქტურული ერთეულის ან თანამდებობის პირის უფლებამოსილებას.“;

7. მე-15 მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 15. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) სტატუსი და უფლებამოსილება“

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) არის უმაღლესი ადმინისტრაციული მმართველი უნივერსიტეტის ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების მართვის სფეროში და წარმოადგენს უნივერსიტეტს საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებში.“;

გ) მე-2 პუნქტის ,,მ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,მ) რექტორთან შეთანხმებით ადგენს და ერთობლივი ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის საშტატო ნუსხას, უნივერსიტეტის სტრუქტურის და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესაბამისად.“;

დ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,5. ადმინისტრაციის ხელმძღვანელზე ვრცელდება ,,კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.“;

8. 25-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 25. უნივერსიტეტში არჩევნების გამოცხადებისა და ჩატარების რეგულირება

1. უნივერსიტეტის და ფაკულტეტის მართვის ორგანოების, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელის არჩევნების გამოცხადება და ჩატარება რეგულირდება ამ წესდებითა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ,,უნივერსიტეტის საარჩევნო დებულებით“.
2. ,,უნივერსიტეტის საარჩევნო დებულებით“ განისაზღვრება საარჩევნო სიების ფორმირების, საარჩევნო ბიულეტენის დამზადების, საარჩევნო ყუთის, არჩევნების ორგანიზების/პროცედურების, არჩევნების კენჭისყრის შედეგების შეჯამების, ბიულეტენების ბათილობის და შემაჯამებელი ოქმების ფორმირების, დამკვირვებლის სტატუსის მოპოვებისა და უფლება-მოვალეობების, დარღვევის ოქმის შედგენის, არჩევნების შედეგების გამოცხადებისა და გასაჩივრების რეგულაცია.
3. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნები ცხადდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.
4. უნივერსიტეტის რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დირექტორის არჩევნები ცხადდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით.
5. არჩევნების გამოცხადების შესახებ სამართლებრივი აქტები ქვეყნდება საჯაროდ, უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ასევე უნივერსიტეტის, ფაკულტეტების და ინსტიტუტების თვალსაჩინო ადგილებზე განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე.

9. 26-ე მუხლის:
ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 26. საარჩევნო კომისიები“

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებები განისაზღვრება ,,უნივერსიტეტის საარჩევნო დებულებით.“;

10. 32-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს წარმომადგენლობით საბჭოში ირჩევს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, გარდა ასისტენტისა. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლებს წარმომადგენლობით საბჭოში ირჩევს ამ ერთეულის სამეცნიერო პერსონალის ყველა წარმომადგენელი.“;

11. 33-ე მუხლის მე-3-მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. წარმომადგენლობითი საბჭო უფლებამოსილების ცნობის შემდეგ ირჩევს სპიკერს, ფარული კენჭისყრით, საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. კენჭისყრის ფარულობას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია, რომელსაც სპიკერის კანდიდატურა წარედგინება წარმომადგენლობითი საბჭოს არჩეული წევრების არანაკლებ 10 პროცენტის მიერ, წარმომადგენლობით საბჭოს არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 3 დღეში.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის ორი ან მეტი კანდიდატურის წარდგენის შემთხვევაში თუკი ვერცერთმა მიიღო წარმომადგენლობითი საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობის ხმები, იმავე დღეს უმეტესი ხმების მქონე ორ კანდიდატს შორის ტარდება განმეორებითი კენჭისყრა, ასეთ შემთხვევაში სპიკერად არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელიც მიიღებს ხმათა მეტ რაოდენობას, მაგრამ არანაკლებ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა. იგივე წესი ვრცელდება იმ შემთხვევაზე, თუკი კენჭისყრაში მონაწილეობს ერთი კანდიდატი. თუ ასეთ შემთხვევებში ვერ იქნება არჩეული სპიკერი, არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში უნდა გაიმართოს ხელახალი კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს წარმომადგენლობითი საბჭოს არჩეული წევრების არანაკლებ 10 პროცენტის მიერ, ბოლო კენჭისყრის გამართვიდან მომდევნო 3 სამუშაო დღეში წარმოდგენილი სხვა კანდიდატი (ები).“;

12. 36-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. აკადემიური საბჭო პირველ სხდომაზე, რომელიც იმართება არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან 5 დღის ვადაში, ცნობს თავის უფლებამოსილებას.“;

13. 37-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ აკადემიური საბჭოს განცხადება, საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე უნივერსიტეტის ადმინისტრაციული შენობის საინფორმაციო დაფაზე.

4. რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ აკადემიური საბჭოს განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებისა და დასრულების ვადების, რექტორის თანამდებობის დაკავებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმების, წარმოსადგენი დოკუმენტაციის, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი

სამოქმედო გეგმის განხილვისა და არჩევნების თარიღების, მათ შორის არჩევნების დღეს კენჭისყრის დაწყებისა და დასრულების დროის შესახებ.“;

14. მე-40 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნებს აცხადებს აკადემიური საბჭო და აქვეყნებს განცხადებას უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების გამოცხადების შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილებაში აისახება კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებისა და დასრულების ვადები, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები, წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის განხილვისა და არჩევნების თარიღები, მათ შორის არჩევნების დღეს კენჭისყრის დაწყებისა და დასრულების დრო.“;

15. 42-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო, აკადემიური საბჭოს წარდგინებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს უნივერსიტეტის პროფესორმა ან ასოცირებულმა პროფესორმა.
2. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით შესარჩევად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო აცხადებს კონკურსს და აქვეყნებს უნივერსიტეტის ვებგვერდზე. კონკურსის გამოცხადების შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილებაში აისახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები, წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის განხილვისა და კანდიდატურის შერჩევის თარიღები, მათ შორის კენჭისყრის დაწყებისა და დასრულების დრო“;

16. 43-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 43[1] მუხლი:

,,მუხლი 43[1]. ფაკულტეტის დეკანის არჩევა

1. ფაკულტეტის დეკანის არჩევნების გამოცხადების შესახებ ფაკულტეტის საბჭოს განცხადება ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, კანდიდატთა რეგისტრაციის დაწყებამდე ერთი თვით ადრე.
2. ფაკულტეტის დეკანის არჩევნების გამოცხადების შესახებ განცხადება უნდა შეიცავდეს ინფორმაციას კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებისა და დასრულების ვადების, ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმების, წარმოსადგენი დოკუმენტაციის, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის განხილვისა და დეკანის არჩევნების თარიღების, მათ შორის კენჭისყრის დაწყებისა და დასრულების დროის შესახებ.
3. ფაკულტეტის საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის დეკანს. ორი ან მეტი კანდიდატის შემთხვევაში თუკი ვერცერთმა მიიღო ფაკულტეტის საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობის ხმები, არჩევნებიდან არაუადრეს მე-3 და არაუგვიანეს მე-5 სამუშაო დღისა, უნდა გაიმართოს დეკანის არჩევნების მე-2 ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს პირველ ტურში გამოვლენილი საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი.

4. დეკანის არჩევნების მე-2 ტურის შედეგად არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ფაკულტეტის საბჭოს წევრთა უფრო მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ ფაკულტეტის საბჭოს სიითი შემადგენლობის ერთი მესამედისა.
5. არჩევნების მეორე ტურში კანდიდატების მიერ თანაბარი რაოდენობის ხმების მიღების შემთხვევაში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც პირველ ტურში მიიღო უფრო მეტი ხმა. თუ მეორე ტურშიც არ გამოვლინდა გამარჯვებული კანდიდატი, ცხადდება ფაკულტეტის დეკანის ხელახალი არჩევნები, წინამდებარე წესდებით დადგენილი წესის შესაბამისად.";

17. 44-ე მუხლი („წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია") **ამოღებული იქნეს;**
18. 45-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 45. ამომრჩეველთა სიები

1. უნივერსიტეტის/ფაკულტეტის მართვის ორგანოების არჩევნების ჩატარების მიზნით საარჩევნო (ამომრჩეველთა) სიებს ადგენს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი, სტუდენტების და აკადემიური პერსონალის შესახებ უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახულ მონაცემებზე დაყრდნობით.
2. უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მართვის ორგანოების არჩევნების ჩატარების მიზნით საარჩევნო (ამომრჩეველთა) სიებს ადგენს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული, შესაბამისი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის შესახებ არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით.
3. საარჩევნო სიები ამომრჩეველი აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტებისათვის დგება ცალ-ცალკე. სტუდენტთა საარჩევნო სიებში შეიტანება ფაკულტეტის ყველა აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე პირთა მონაცემები.
4. უნივერსიტეტის **საარჩევნო დებულებით განისაზღვრება** ამომრჩეველთა სიებში შესატანი ინფორმაცია, წინამდებარე წესდების მოთხოვნათა დაცვით.";

19. 46-ე მუხლი („საარჩევნო ბიულეტენი") **ამოღებული იქნეს;**
20. 47-ე მუხლი („საარჩევნო ყუთი") **ამოღებული იქნეს;**
21. 48-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 48. არჩევნების ორგანიზება
1. არჩევნების ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს უნივერსიტეტი.
2. უნივერსიტეტის/ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მართვის ორგანოების არჩევნების დღეს კენჭისყრის (ხმის მიცემა) დაწყებისა და დასრულების პერიოდი და არჩევნების ორგანიზებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება უნივერსიტეტის **საარჩევნო დებულებით.";**

22. 49-ე მუხლი („არჩევნების პროცედურა") **ამოღებული იქნეს;**
23. 50-ე მუხლი („შედეგების შეჯამება") **ამოღებული იქნეს;**
24. 51-ე მუხლი („დამკვირვებელი") **ამოღებული იქნეს;**

25. 52-ე მუხლი (,,დარღვევის ოქმი“) **ამოღებული იქნეს;**
26. 53-ე მუხლი (,,არჩევნების შედეგების გამოცხადება და გასაჩივრება“) **ამოღებული იქნეს;**
27. 61-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,მუხლი 61. აკადემიური თანამდებობიდან განთავისუფლება
აკადემიური თანამდებობის პირის თანამდებობიდან განთავისუფლების/ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლებია:
ა) პირადი განცხადება;
ბ) ვადიანი შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლა;
გ) ემერიტუსის წოდების მინიჭება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის შინაგანაწესით, ეთიკის კოდექსით ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევა.“;

28. 62-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ბ) შესაბამის სემესტრში სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს 15 დღის ვადაში ან სემესტრის დასრულებისთანავე, ფაკულტეტის საბჭოს ინიცირებით და პროფესორის თანხმობით, პროფესორის თანამდებობიდან განთავისუფლების პირობით;“;

მუხლი 2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მინისტრი

ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს **2023 წლის 28 სექტემბრის N07-01/50**
გადაწყვეტილების **N2 დანართი**

განმარტებითი ბარათი
„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი:

უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილებების შეტანის მიზეზებია: წესდების ზოგიერთი მუხლის/პუნქტის შინაარსის სრულყოფის, ხარვეზების აღმოფხვრის, საჭიროება; უნივერსიტეტის და ფაკულტეტის მართვის ორგანოების არჩევნების პროცესის ორგანიზებულად წარმართვისათვის შესაბამისი პროცედურის დაზუსტების საჭიროება; წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის არჩევნების პროცედურის სრულყოფის საჭიროება; ფაკულტეტის დეკანის არჩევნების პროცედურის, მათ შორის მე-2 ტურის შემთხვევის რეგულაციის განსაზღვრის საჭიროება; უნივერსიტეტის პერსონალის საშტატო განრიგის უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ, ერთობლივად დამტკიცების სამართლებრივი საფუძვლის შექმნის საჭიროება; ბსუ-ს ემერიტუსის წოდების მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების კონკრეტული პერიოდის განსაზღვრის საჭიროება;
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტში შეტანილი ცვლილების (30.11. 2022 წ. 2219-IXმს-Xმპ) გათვალისწინებით, უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის შინაარსის ცვლილების საჭიროება;

წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს უნივერსიტეტის წესდების ცალკეული მუხლების/პუნქტების დახვეწას/სრულყოფას, ხარვეზების აღმოფხვრას, მათ შორის:

- ✓ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის მართვის ორგანოების არჩევნების პროცესის ორგანიზებულად წარმართვისათვის განისაზღვროს/დაზუსტდეს შესაბამისი პროცედურები **(ცვლილებების და დამატების** გზით წესდების მუხლებში: 25-ე, 26-ე, 32-ე, 33-ე, 36-ე, 37-ე, მე-40, 42-ე (დამატება - 43[1]-ე), 45-ე, 48-ე; **ამოღებული იქნება 44-ე; 46-47-ე, 49-53-ე მუხლები),** წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის არჩევნების პროცედურები სრულყოფილად გაიწეროს, წესდებაში დამატების შეტანით განისაზღვროს <u>დეკანის არჩევნების</u> პროცედურა, მათ შორის მე-2 ტურის შემთხვევის რეგულაცია; მართვის ორგანოების (აკადემიური საბჭოს/წარმომადგენლობითი საბჭო) პირველი სხდომის გამართვისა და უფლებამოსილების ცნობისათვის განისაზღვროს ანალოგიური ვადები; უნივერსიტეტის პერსონალის საშტატო განრიგი

დამტკიცდეს უნივერსიტეტის რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი ბრძანებით; დაზუსტდეს ემერიტუსის წოდების მინიჭების პერიოდი;

- ✓ უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის სათაური და პირველი პუნქტის შინაარსი ჩამოყალიბდეს,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლში, ტერმინთა განმარტებებში ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან დაკავშირებით მოცემული განმარტების გათვალისწინებით. გარდა ამისა, წარმოდგენილი წესდების ცვლილების პროექტი მიზნად ისახავს მე-15 მუხლის მე-5 პუნქტის შინაარსი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით, თანახმად ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტში შეტანილი ცვლილებისა (30.11. 2022 წ. 2219-IXმს-Xმპ).

იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებმაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა).

წარმოდგენილი პროექტის მიღება/დამტკიცება არ გამოიწვევს საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშების შედგენის საჭიროებას.

ა.ბ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს ,,ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან;

- **არ საჭიროებს მითითებას.**

ა.გ) პროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტის თანახმად **ცვლილებები შედის** ბსუ-ს წესდების მე-3, მე-4, მე-5, მე-8, მე-10, მე-13, მე-15, 25-ე, 26-ე, 32-ე, 33-ე, 36-ე, 37-ე, მე-40, 42-ე მუხლებში, ემატება 43^1-ე მუხლი (სათაური - ,,მუხლი 43^1. ფაკულტეტის დეკანის არჩევა“.), ცვლილება შედის ასევე 45-ე, 48-ე, 61-ე და 62-ე მუხლებში, ხოლო ამოღებული იქნება - **ამოღებული იქნება** 44-ე; 46-47-ე, 49-53-ე მუხლები. აღნიშნული ცვლილელების არსი მდგომარეობს შემდეგში:

1. წესდების მე-3 მუხლის (,,მუხლი 3. უნივესიტეტის მიზნები და ამოცანები“):

<u>ა) ,,თ“ ქვეპუნქტის რედაქცია შეიცვალა,</u> ბოლო წინადადება ამოღებულია, ქვეპუნქტის ბუნდოვანი შინაარსი გაიმართა, ჩამოყალიბდა ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 49^1-ე მუხლის პირველი პუნქტის შინაარსის გათვალისწინებით;

<u>ბ) ,,თ“ ქვეპუნქტის შემდეგ ემატება ,,ი-ო“ ქვეპუნქტები,</u> უნივერსიტეტის შემდეგი დამატებითი მიზნები და ამოცანები: ,,ი) აკადემიური თავისუფლების და კეთილსინდისიერების დაცვა; კ) უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვა, მათ შორის, აკადემიური, ეთნიკური, სოციალური ან რელიგიური კუთვნილების ან/და შეხედულების, სქესისა და სხვა ნიშნით; ლ) გენდერული თანასწორობის მხარდაჭერა; მ) სტუდენტის და პერსონალის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა; ნ) სტუდენტზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო გარემოს შექმნა, სტუდენტთა სოციალური პირობების

გაუმჯობესებაზე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტთათვის სწავლის პირობების შექმნაზე ზრუნვა, ასევე სხვა ისეთი პირობების შექმნა, რომლებიც ხელს შეუწყობს ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნების განხორციელებას;
ო) უმაღლესი განათლების სფეროში სოციალური განზომილების, დემოკრატიის გაძლიერების, ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, ასევე დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტირება, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;
გ) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებული იქნება, რადგანაც წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ამ პუნქტის შინაარსი ჩაშენდა ბსუ-ს წესდების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის რედაქციაში, რომელიც დამტკიცდა მინისტრის 15.06.2023 წ. ბრძანებით N46/ნ.

2. მე-4 მუხლის (,,მუხლი 4. საქმიანობის ძირითადი მიმართულებები") ,,ე-ზ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდა განახლებული რედაქციით, მათ შორის ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად. გარდა ამისა, ,,ე" ქვეპუნქტში აღნიშნული სიტყვები ,,საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.." მიემართა ქვეპუნქტში ჩამოთვლილ საქმიანობებს, ასევე ,,ზ" ქვეპუნქტში ნაცვლად სიტყვებისა ,,შესაბამისი კანონით", ჩაიწერა ,,საქართველოს კანონმდებლობით ...".

3. მე-5 მუხლი (,,მუხლი 5. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები") ჩამოყალიბდა განახლებული რედაქციით, სულ 4 პუნქტის რედაქციით, მათ შორის: პირველ პუნქტში წარმოდგენილია ბსუ-ს სტრუქტურული ერთეულების შესახებ ჩანაწერი, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალს დაემატა დამხმარე საგანმანათლებლო ერთეული - პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი; მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში გაიწერა ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვნელის წარდგინებით ბსუ-ს ადმინისტრაციის სტრუქტურის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცების შესახებ ჩანაწერი; მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში გაიწერა უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების – ფაკულტეტების და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების (ინსტიტუტების) შექმნის, რეორგანიზაციის ან გაუქმების გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი ბსუ-ს მართვის ორგანოების შესახებ ჩანაწერი (შესაბამისად, ახალი ამ ფუნქციების შესახებ ჩანაწერი ემატება ბსუ-ს წესდებაში აკადემიური საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭოს უფლბამოსილებებსაც, წესდების მე-8 და მე-10 მუხლებში); მე-5 მუხლის მე-4 პუნქტში გაიწერა სტრუქტურული ერთეულების დებულებების ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ბსუ-ს წესდების შესაბამისად დამტკიცების თაობაზე ჩანაწერი.

4. მე-8 მუხლის (,,მუხლი 8. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სტატუსი და უფლებამოსილებანი ,,) მე-4 პუნქტის ,,უ" ქვეპუნქტის რედაქცია შეიცვალა, ჩაშენდა წესდების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში აკადემიური საბჭოს აღნიშნული უფლებამოსილება (ფუნქცია) - მიიღოს გადაწყვეტილება უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების – ფაკულტეტების და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების (ინსტიტუტების) შექმნის, რეორგანიზაციის ან გაუქმების თაობაზე და დასამტკიცებლად წარუდგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

5. მე-10 მუხლის (,,მუხლი 10. წარმომადგენლობითი საბჭოს სტატუსი და უფლებამოსილება") მე-3 პუნქტის ,,ზ' ქვეპუნქტის შემდეგ დაემატა ,,ზ[1]" ქვეპუნქტი -

წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილება (ფუნქცია) - დაამტკიცოს წესდების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების – ფაკულტეტების და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების (ინსტიტუტების) შექმნის, რეორგანიზაციის ან გაუქმების თაობაზე;

6. მე-13 მუხლის (,,მუხლი 13. რექტორის სტატუსი და უფლებამოსილება''):

ა) ,,ბ" და ,,გ" ქვეპუნქტების შინაარსი მოდიფიცირდა, რედაქციული თვალსაზრისით;

ბ) დაემატა ,,ვ-ი" ქვეპუნქტების რედაქციები რექტორის უფლებამოსილებების შესახებ, მათ შორის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან ერთად უნივერსიტეტის პერსონალის საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე უფლებამოსილების შესახებ ჩანაწერი;

7. მე-15 მუხლის:

ა) **სათაური** (,,მუხლი 15. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სტატუსი და უფლებამოსილება") **და პირველი პუნქტი** მოდიფიცირდა, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის ტერმინთა განმარტებებში აღნიშნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განმარტების შესაბამისად, დაემატა ჩანაწერი - ,,(კანცლერი)";

ბ) მე-2 პუნქტის ,,მ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, უნივერსიტეტის პერსონალის საშტატო ნუსხის რექტორთან ერთად, ერთობლივი ბრძანებით დამტკიცების თაობაზე უფლებამოსილების შესახებ ჩანაწერით;

გ) მე-15 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდა ახალი, შემდეგი რედაქციით: ,,5. ადმინისტრაციის ხელმძღვანელზე ვრცელდება ,,კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნები", თანახმად ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებისა (30.11. 2022 წ. 2219-IXმს-Xმპ).

8. 25-ე მუხლის სათაური (ძველი რედაქცია - ,,არჩევნების გამოცხადება") და შინაარსი შეიცვლა და ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით **(,,მუხლი 25. უნივერსიტეტში არჩევნების გამოცხადებისა და ჩატარების რეგულირება").** სათაურში და შინაარსში დაემატა არჩევნების რეგულირების დათქმა, შესაბამისად, ახალი ჩანაწერის თანახმად, აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული ,,უნივერსიტეტის საარჩევნო დებულებით" დარეგულირდება არჩევნებთან დაკავშირებული ყველა პროცედურა, მათ შორის ის საკითხები, რაც მოქმედი რედაქციით გათვალისწინებული იყო წესდების 44-ე; 46-47-ე, 49-53-ე მუხლებით.

9. 26-ე მუხლის სათაური (ძველი რედაქცია - ,,არჩევნების კომისია") და მე-4 პუნქტის შინაარსი შეიცვლა და ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით **(,,მუხლი 26. საარჩევნო კომისიები").** ვინაიდან მუხლის შინაარსი აღწერს საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებებს, მუხლის სათაური საჭიროებდა ცვლილებას. გარდა ამისა, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით 25-ე მუხლის პირველ პუნქტში ჩაიწერა, რომ არჩევნები რეგულირდება აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული ,,უნივერსიტეტის საარჩევნო დებულებით", შესაბამისად, საჭირო გახდა მე-4 პუნქტიდან რექტორის მიერ არჩევნების დებულების დამტკიცების უფლებამოსილების შესახებ ჩანაწერის ამოღება.

10. 32-ე მუხლის (,,მუხლი 32. წარმომადგენლობით საბჭოში ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაციის წესი") მე-2 პუნქტში არსებულ რედაქციას ემატება ჩანაწერი წარმომადგენლობით საბჭოში უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის წარმომადგენლების ამავე ერთეულის სამეცნიერო პერსონალის ყველა წარმომადგენელის მიერ არჩევის შესახებ;

11. 33-ე მუხლის („მუხლი 33. წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების ცნობა, სპიკერისა და მდივნის არჩევა და უფლებამოსილების შეწყვეტა“) მე-3-მე-4 პუნქტები ყალიბდება ახალი რედაქციით, სრულყოფილი ხდება შინაარსი, დაკონკრეტდა წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის არჩევნების პროცედურა;

12. 36-ე მუხლის („მუხლი 36. აკადემიური საბჭოს ამომრჩეველი, აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების ცნობა და წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა“) მე-2 პუნქტი ყალიბდება ახალი რედაქციით, რომლის თანახმად აკადემიური საბჭო პირველ სხდომაზე, რომელიც იმართება არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან 5 დღის ვადაში, აკადემიური საბჭო ცნობს თავის უფლებამოსილებას.“. ახალი რედაქციის თანახმად, ნაცვლად 3 დღისა, ეთითება 5 დღე.

13. 37-ე მუხლის („მუხლი 37. რექტორის არჩევნების გამოცხადება“) მე-3 და მე-4 პუნქტები იცვლება რედაქციული კუთხით. 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო, რომელიც გამოსცემს დადგენილებას არჩევნების გამოცხადების შესახებ. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით მტკიცდება აკადემიური საბჭოს განცხადების შინაარსიც/ტექსტი). წარმოდგენილი პროექტის თანახმად, 37-ე მუხლის მე-3-4 პუნქტების შინაარსით უფრო დეტალიზებულია (შესაბამისად, გამჭვირვალეა) რექტორის არჩევნების გამოცხადების შესახებ აკადემიური საბჭოს განცხადების შინაარსი, დაკონკრეტებულია და ნორმის დისპოზიცია უფრო გამართული.

14. მე-40 მუხლის („მუხლი 40. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის შერჩევა“) პირველი და მე-2 პუნქტები ყალიბდება ახალი რედაქციით, რომლის თანახმად ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების გამოცხადების შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილების შინაარსი კონკრეტდება და პუნქტების რედაქციები გაიმართება;

15. 42-ე მუხლის („მუხლი 42. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევა“) პირველი და მე-2 პუნქტები ყალიბდება ახალი რედაქციით, რომლის თანახმად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნების გამოცხადების შესახებ აკადემიური საბჭოს დადგენილების შინაარსი კონკრეტდება და პუნქტების რედაქციები გაიმართება;

16. 43-ე მუხლის შემდეგ ემატება 43[1] მუხლი („მუხლი 43[1]. ფაკულტეტის დეკანის არჩევა“), რომელიც ითვალისწინებს ფაკულტეტის დეკანის არჩევის რეგულაციას (აღნიშნული შინაარსის მუხლი არ იყო წესდების VI თავში („უნივერსიტეტის მართვის ორგანოების არჩევის წესი“).

17. **44-ე მუხლი** („წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია“) **ამოღებული იქნება, რადგანაც** წარმოდგენილი პროექტის მიხედვით 25-ე მუხლში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით აღნიშნული საკითხი დარეგულირდება „უნივერსიტეტის საარჩევნო დებულებით.

18. 45-ე მუხლის დასახელება („მუხლი 45. აკადემიური საბჭოს და წარმომადგენლობითი საბჭოს საარჩევნო სიები“) <u>და შინაარსი იცვლება,</u> ყალიბდება ახალი რედაქციით („მუხლი 45. ამომრჩეველთა სიები“) და გათვალისწინებულია უნივერსიტეტის/ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მართვის ორგანოების არჩევნების ჩატარების მიზნით საარჩევნო (ამომრჩეველთა) ერთიანი სიების შედგენის წესი, ამომრჩეველთა სიებში შესატანი ინფორმაცია.

19. **46-ე მუხლი** („საარჩევნო ბიულეტენი“) **ამოღებული იქნება, რადგანაც** წარმოდგენილი პროექტის მიხედვით 25-ე მუხლში შეტანილი ცვლილების

გათვალისწინებით აღნიშნული საკითხი დარეგულირდება ,,უნივერსიტეტის საარჩევნო დებულებით.

20. 47-ე მუხლი (,,საარჩევნო ყუთი“) **ამოღებული იქნება, რადგანაც** წარმოდგენილი პროექტის მიხედვით 25-ე მუხლში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით აღნიშნული საკითხი დარეგულირდება ,,უნივერსიტეტის საარჩევნო დებულებით.

21. **48-ე მუხლი** (,,მუხლი 48. არჩევნების ორგანიზება“) ყალიბდება ახალი რედაქციით, შინაარსი მოდიფიცირდა იმგვარად, რომ უნივერსიტეტის/ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მართვის ორგანოების არჩევნების დღეს კენჭისყრის (ხმის მიცემა) დაწყებისა და დასრულების პერიოდი განისაზღვრება შესაბამისი მართვის ორგანოს სამართლებრივი აქტის (რექტორის ბრძანების/აკადემიური საბჭოს დადგენილების/ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების) შესაბამისად, თანაც, წესდებით განისაზღვრება, რომ კენჭისყრისათვის განსაზღვრული დრო არ უნდა იყოს 1 საათზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს. წარმომადგენლობითი საბჭოს და ფაკულტეტის დეკანის არჩევნების შემთხვევაში, კენჭისყრა დაიწყება 11:00 საათზე და დამთავრდება 18:00 საათზე;

22. 49-ე მუხლი (,,მუხლი 49. არჩევნების პროცედურა“) **ამოღებული იქნება, რადგანაც** წარმოდგენილი პროექტის მიხედვით 25-ე მუხლში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით აღნიშნული საკითხი დარეგულირდება ,,უნივერსიტეტის საარჩევნო დებულებით.

23. 50-ე მუხლი (,,მუხლი 50. შედეგების შეჯამება“) **ამოღებული იქნება, რადგანაც** წარმოდგენილი პროექტის მიხედვით 25-ე მუხლში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით აღნიშნული საკითხი დარეგულირდება ,,უნივერსიტეტის საარჩევნო დებულებით.

24. 51-ე მუხლი (,,მუხლი 51. დამკვირვებელი“) **ამოღებული იქნება, რადგანაც** წარმოდგენილი პროექტის მიხედვით 25-ე მუხლში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით აღნიშნული საკითხი დარეგულირდება ,,უნივერსიტეტის საარჩევნო დებულებით.

25. 52-ე მუხლი (,,მუხლი 52. დარღვევის ოქმი“) **ამოღებული იქნება, რადგანაც** წარმოდგენილი პროექტის მიხედვით 25-ე მუხლში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით აღნიშნული საკითხი დარეგულირდება ,,უნივერსიტეტის საარჩევნო დებულებით“.

26. 53-ე მუხლი (,,მუხლი 53. არჩევნების შედეგების გამოცხადება და გასაჩივრება“) **ამოღებული იქნება, რადგანაც** წარმოდგენილი პროექტის მიხედვით 25-ე მუხლში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით აღნიშნული საკითხი დარეგულირდება ,,უნივერსიტეტის საარჩევნო დებულებით.

27. 61-ე მუხლის (მუხლი 61. აკადემიური პერსონალის თანამდებობიდან გათავისუფლება) შინაარსი მოდიფიცირებული იქნა რედაქციული თვალსაზრისით;

28. **62-ე მუხლის** (მუხლი 62. აკადემიური წოდებები, მათი მინიჭების წესი და პირობები) მე-3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, დაზუსტდა ემერიტურის წოდების მინიჭების პერიოდი, კერძოდ, ემერიტუსის სტატუსი მიენიჭება შესაბამის სემესტრში სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს 15 დღის ვადაში ან სემესტრის დასრულებისთანავე;

უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილებების შესახებ პროექტის ინიციატორი და ავტორია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო (პროექტის მომზადებისათვის აკადემიური საბჭოს დადგენილებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირებისა და სტრუქტურული ერთეულების პერსონალის შემადგენლობით. სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი პროექტი მოიწონა და დაამტკიცა ბსუ-ს აკადემიურმა საბჭომ, შემდეგში წარმომადგენლობითმა საბჭომ (N07-01/62, 29.12.2022 წ., რომელიც გაიგზავნა სამინისტროში ბსუ-ს წერილით MES 2 23 0000024655 13/01/2023); ბსუ-ს წარმომადგენლობითმა საბჭომ სამინისტროს შენიშვნების გათვალისწინებით ხელახლა იმსჯელა და მიიღო ბსუ-ს წესდების ცვლილელები **2023 წლის 02 მაისის №07-01/21 გადაწყვეტილებით** (გაიგზავნა სამინისტროში 2023 წლის 3 მაისს MES 8 23 0000489926 წერილთან ერთად, ბსუ-ს წესდებაში შესატანი ცვლილებების სულ 29 პუნქტი, ბსუ-ს წერილის საფუძვლებში მიმაგრებულია <u>წესდების ცვლილებების პროექტი, სამინისტროს დასაქმებულის შენიშვნებით/კომენტარებით/მოსაზრებებით).</u>

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 14 ნოემბრის №1106 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების **მინისტრის 2023 წლის 15 ივნისის №46/ნ ბრძანებით ცვლილება შევიდა** ბსუ-ს წესდების მე-2, მე-8, მე-10, 33-ე, 59-ე, 63-ე, 64-ე, 71-ე, 73-ე, 74-ე, 76-ე მუხლებში.

ბსუ-ს წესდების 76-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილებებზე (რაც ასახული იყო ბსუ-ს წარმომადგენლობითმა საბჭოს 2023 წლის 02 მაისის №07-01/21 გადაწყვეტილებაში, სამინისტროს შენიშვნების გათვალისწინებით) ხელახლა განხილულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ მიმდინარე წლის 04 ივლისს, აკადემიური საბჭოს მონაწილეობით და მიღებული N07-01/31, 04.07.2023 წლის გადაწყვეტილება წარედგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

წარმომადგენლობითმა საბჭომ **მ/წლის 28 სექტემბერს** ხელახლა გადასინჯა წესდების ცვლილებების პროექტი და **მიიღო ახალი გადაწყვეტილება N07-01/50,** რომლითაც ძალადაკარგულად ცნო 04.07.2023 წლის N07-01/31 გადაწყვეტილება და დაამტკიცა ბსუ-ს წესდებაში ცვლილების შეტანის ახალი პროექტი (წესდების რიგი მუხლები <u>საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით ამოღებული იქნა,</u> 25-ე მუხლში შეტანილი ცვლილების გათვალისწინებით, არჩევნების ჩატარება დარეგულირდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცებული ,,უნივერსიტეტის საარჩევნო დებულებით“).